

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 6 “7” სექტემბერი 2017 წ.
ბრძ. №01-01/59 “8” სექტემბერი 2017 წ.
რექტორი გიორგი მათიაშვილი

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

სასწავლო კურსის სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმა

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
სასწავლო კურსის სილაბუსი**

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსს. ქართულ და ინგლისურ ენებზე
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამა	დასახელება
სილაბუსის ავტორი	სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, აკადემიური სტატუსი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი მაგ. თალიკო ჟვანია ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ინფორმატიკის კათედრის პროფესორი, კათედრის გამგე ტელეფონი: 296-78-39, 599 90-65-95 ელ-ფოსტა: taliko.zhvania@gttu.edu.ge ; talizhvania@gmail.com
სასწავლო კურსის კოდი (სტატუსი)	CB4 სადაც: C -სავალდებულო , B- საბაზისო, 4-კრედიტების რაოდენობა
სტუდენტის დატვირთვა	4 კრედიტი (ერთი კრედიტი = 25-30 საათი). ლექცია - 15 საათი, პრაქტიკული - 30 საათი, შუალედური შემოწმება - 3 სთ, დასკვნითი გამოცდა – 3 სთ, დამოუკიდებელი მუშაობა – 49 სთ.
კონსულტაციების განრიგი კათედრაზე	საკონსულტაციო საათების რაოდენობა კვირაში-2 საათი. კონსულტაციების განრიგი - სამშაბათი: 13-15 საათი (სააუდიტორიო და დისტანციური)
სასწავლო კურსის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	ინფორმატიკის კათედრა

1. სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნებთან და პროგრამის მიზნებთან. უნდა იყოს გარკვეულ სფეროში/დარგში/საკითხში ფართო, ზოგადი ცოდნის მიცემა, რაც გულისხმობს სფეროს/დარგის/საკითხის მთავარი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების, მათ შორის, ზოგიერთ გამორჩეული ასპექტის შესწავლას.

2. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები

პირობა, რომელიც შესრულებული უნდა ჰქონდეს სტუდენტს, თუ ექნება მოცემული კურსის შესწავლის სურვილი. მაგალითად: ა) წინაპირობა შეიძლება იყოს სხვა კურსის გავლა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კურსის მითითება; ბ) თუ სასწავლო კურსი ან მისი ნაწილი იკითხება უცხოურ ენაზე, წინაპირობაში უნდა მივუთითოთ - უცხო ენის ფლობა შესაბამის დონეზე.

3. სწავლის შედეგები

უნდა აღიწეროს ის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, რომელთაც სტუდენტი შეიძენს სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ. კომპეტენციები უნდა იყოს კონკრეტული და გაზომვადი.

ზოგადი კომპეტენციები: დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები, ასევე - ღირებულებები.

დარგობრივი კომპეტენციები: დარგის ცოდნა და გაცნობიერება, პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი. დარგობრივ კომპეტენციებთან მიმართებაში უნდა იყოს განსაზღვრული:

- რა თეორიული ცოდნა ექნება სტუდენტს. სასურველია, აღინიშნოს ის საკითხები, თეორიები, კონცეფციები, პრინციპები და ა.შ, რომლებიც სტუდენტს ეცოდინება კურსის დასრულების შემდეგ;
- როგორი ცოდნა ექნება სტუდენტს (საბაკალავრო საფეხურზე ცოდნა უნდა იყოს ფართო და ზოგადი);
- რა პრაქტიკული უნარები ექნება სტუდენტს (რის კეთება შეეძლება სტუდენტს მიღებული თეორიული ცოდნიდან გამომდინარე).

კომპეტენციების აღწერისას არ გამოვიყენოთ ისეთი ზმნები როგორცაა: იცის, იაზრებს, სწავლობს, იცნობს, ითვისებს, შეიგნებს.

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ცოდნის დასადასტურებლად:

განსაზღვრა, აღწერა, ჩამოთვლა, გამოკვეთა, შეცნობა, დაკავშირება, განცხადება, წერა, შეფასება, მისადაგება, დეტალურად ჩამოყალიბება, ამოცნობა, დემონსტრირება, დასახელება.

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გაცნობიერების დასადასტურებლად: შეჯამება, აღწერა, შედარება, კლასიფიცირება, შეპირისპირება, გარდაქმნა, განხილვა, გამორჩევა, განსაზღვრა, შეფასება, განმარტება, ფორმულირება, მაგალითის მოყვანა, თარგმნა, გამოხატვა, ილუსტრირება, გამოცნობა, წარმოდგენა, შერჩევა, განასხვავებს, ახდენს, პროგნოზირებს

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს პრაქტიკული გამოყენების უნარის დასადასტურებლად: გამოყენება, შეფასება, გაანგარიშება, შეცვლა, არჩევა, დასრულება, გამოთვლა, აგება/კონსტრუირება, დემონსტრირება, განვითარება, აღმოჩენა, დრამატიზება, გამოყენება, გამოცდა, ექსპერიმენტირება, პოვნა/დადგენა, ილუსტრირება, ინტერპრეტირება, მანიპულირება, მოდიფიცირება, ოპერირება, ორგანიზირება, პრაქტიკაში გამოყენება, პროგნოზირება, მომზადება, წარმოება, დაკავშირება, დაგეგმვა, ჩვენება, მონახაზის გაკეთება, გადაწყვეტა, ტრანსფერი/გადატანა.

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ანალიზის უნარის დასადასტურებლად: გაანალიზება, ინფორმირება, რანჟირება/ ორგანიზება, დანაწილება, გამოანგარიშება, კატეგორიზაცია, კლასიფიცირება, შედარება, დაკავშირება, შეპირისპირება, კრიტიკა, განხილვა, განსაზღვრა, დიფერენცირება, გამორჩევა, განსხვავება, დაყოფა, შემოწმება/გამოცდა, ექსპერიმენტირება, იდენტიფიცირება, ილუსტრირება, დასკვნის გაკეთება, შემოწმება, გამოკვლევა, მოწესრიგება, მონახაზის გაკეთება, მითითება, გამოკითხვა, დაკავშირება, განცალკევება, ტესტირება.

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სინთეზირების უნარის დასადასტურებლად: არგუმენტირება/დასაბუთება, რანჟირება/ ორგანიზება, შეგროვება, კატეგორიზაცია, შეკრება, კომბინირება, კომპილაცია, შედგენა, აგება, შექმნა, განვითარება, ჩამოყალიბება, ახსნა/განმარტება, ფორმულირება, განზოგადება, გენერირება, ინტეგრირება, გამოგონება, გაკეთება, მართვა/დაძლევა, მოდიფიცირება,

ორგანიზირება, დაგეგმვა, მომზადება, შეთავაზება/წინადადების მომზადება, რეკონსტრუირება, მოწესრიგება, დაკავშირება, როორგანიზება, გადახედვა, შექმნა, შეჯამება.

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს შეფასების უნარის დასადასტურებლად: ინფორმირება, დადგენა/გამორკვევა, არგუმენტირება, შეფასება, დაკავშირება, შედარება, ამორჩევა, დასკვნის გაკეთება, შეპირისპირება, დარწმუნება, გაკრიტიკება, გადაწყვეტა, დაცვა, გამორჩევა, ახსნა/განმარტება, ევალუაცია, დახარისხება, ინტერპრეტირება, მსჯელობა, დამოწმება(ფაქტებით), გაზომვა, პროგნოზირება, დადგენა, რეკომენდაციების მომზადება, დაკავშირება, გადაჭრა, გადახედვა, დაანგარიშება, შეჯამება, მხარდაჭერა, ვალიდაცია, შეფასება

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს პრობლემის გადაჭრის უნარის დასადასტურებლად: გადაჭრა, შერჩევა, განსაზღვრა, შეთავაზება, დაგეგმვა, დასაბუთება, ფორმულირება, პროცედურის აღწერა, შემუშავება, ალტერნატივების შეთავაზება.

ზმნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს კომუნიკაციის უნარის დასადასტურებლად: კომუნიკაცია, გამოხატვა, განმარტება, რეაგირება, კამათი, დაცვა, ჩამოყალიბება, თქმა, სწავლება, ხელმძღვანელობა, პრეზენტაცია, შეჯამება.

4. სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი

რომელი სფეროს/დარგის შესწავალზეა ორიენტირებული სასწავლო კურსი, რა საკვანძო მოდულებისგან შედგება იგი. რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს სტუდენტს სასწავლო კურსის შესწავლის შემდეგ.

5. სწავლების/სწავლის მეთოდები

გასაწერია სწავლების/სწავლის მხოლოდ ის ძირითადი მეთოდები, რომელთაც ავტორი იყენებს სასწავლო კურსის ფარგლებში. სწავლების/სწავლის მოცემული მეთოდები აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება/სწავლის მეთოდებში.

6. შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

2016 წლის 22 ივლისს ბრ. № 01-01/64 დამტკიცებული „სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“.

7. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა

მითითებული უნდა იყოს ძირითადი ლიტერატურა, საჭიროების შემთხვევაში კი - დამხმარე ლიტერატურა: ავტორის სახელი (ინიციალით), გვარი, წიგნის სრული დასახელება, გამოცემის ადგილი და წელი.

სტატიის მითითებისას - ავტორის სახელი (ინიციალით), გვარი, სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის სრული დასახელება, გამოცემის ადგილი და წელი. სასურველია მითითებული იქნას გვერდების რაოდენობა.

ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბიბლიოთეკებში, ან უნდა მიეწოდოს სასაწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას სემესტრის დაწყებამდე რიდერის მოსამზადებლად.

თუ დამხმარე ლიტერატურა არ არის ბიბლიოთეკაში იგი უნდა მიეწოდოს სასაწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას სემესტრის დაწყებამდე რიდერის მოსამზადებლად.

8. სასწავლო კურსის კალენდარული გეგმა (თემატიკა კვირების მიხედვით)

სილაბუსის ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს სასწავლო კურსის კალენდარული გეგმა - კვირების, საკონტაქტო საათების, საგანმანათლებლო საქმიანობის (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, კოლოკვიუმი და სხვა), ლიტერატურის (გვერდების/თავის/ პარაგრაფის) მითითებით.

მიუთითეთ, სწავლის რომელ შედეგებს უწვითებს სასწავლო კურსი საგანმანათლებლო პროგრამას შედეგებს (შესაბამისი გრაფის ქვეშ მონიშნეთ X)

ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები

სტუდენტის სემესტრული შეფასების კომპონენტების და ქულების განაწილების სქემა

<i>შეფასების კომპონენტი</i>	<i>შესრულების დრო</i>	<i>რაოდენობა</i>	<i>შეფასება</i>	<i>სულ ქულათა რაოდენობა</i>
ზეპირი/წერიტი გამოკითხვა			20	20
პრაქტიკული/თეორიული სამუშაო			10	10
შუალედური შემოწმება	მე-8 კვირა	1	30	30
დასკვნითი გამოცდა	სესია	1	40	40
სულ ჯამი:				100

სტუდენტებო ყურადღებით წაიკითხეთ!

1. სილაბუსი!

საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ თუ რა მიზანი აქვს სასწავლო კურსის შესწავლას, როგორია მისი შინაარსი და წინაპირობა. სწავლისა და სწავლების რა მეთოდებით მიაღწევთ სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს - ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.

ყურადღება მიაქციეთ სილაბუსში მითითებულ საკონსულტაციო დღეებსა და საათებს და ისარგებლეთ ამ დროით.

2. აკადემიური ეთიკის მოთხოვნები

სწავლების ეფექტურობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ყოველი სტუდენტი ვალდებულია გაითვალისწინოს სტუდენტის ეთიკის მოთხოვნები და დაიცვას ქვეყნის ელემენტარული ნორმები, რომელიც "სტუდენტის ეთიკის კოდექსშია" (www.gttu.edu.ge/uploads/gttu_files/Debuleba_-_Studentis_Etikis_Kodeksi.pdf) ასახული. გაითვალისწინოთ, რომ სწავლების პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორებად მიიჩნევა არაპუნქტუალობა, უყურადღებობა, გადაწერა, პლაგიატი. ლექციაზე და პრაქტიკული მეცადინეობის დროს მობილური ტელეფონით სარგებლობა მიუღებელია.

3. გამოცდების ჩატარების წესი

გისურვებთ წარმატებას!

შენიშვნა:სილაბუსის შედგენისას გამოყენებული უნდა იყოს ქართული უნიკოდი (Sylfaen).

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)